დოკუმენტის №: 0007605301

მოწმის დაკითხვის ოქმი

25.12.2015 ქ.თბილისი

ოქმის შემდგენი პირი: ალექსანდრე ფოცხვერაშვილი, თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი

საქმის №: 010201215001

დაკითხვის დაწყების დრო: 15 : 15

დაკითხვის დასრულების დრო: 19 : 00

დაკითხვის ჩატარების ადგილი: საგამოძიებო ორგანო

დასაკითხი პირის მონაცემები:

სახელი : ლანა;
გვარი : პაპიძე;
მამის სახელი :
დაბადების თარიღი
დაბადების ადგილი :
მოქალაქეობ
განათლება :
ოჯახური მდგომარეობ ;
პირადი ნომერი : ;
რეგისტრაციის მისამართი: ქვეყანა: საქართველო,
.
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: ქვეყანა: საქართველო, ,

მობ.ტელეფონი:

მოწმის უფლება-მოვალეობები:

1. მოწმე ვალდებულია: გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით; სწორად აცნობოს ყველაფერი, რაც საქმის გამო იცის, და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს; არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა გამომძიებელმა, პროკურორმა ან სასამართლომ; დაიცვას წესრიგი საქმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს; არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.
2. თუ მოწმე არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით, იგი შეიძლება იძულებით მოიყვანონ. გამოუცხადებლობის, თავმჯდომარის განკარგულებათა შეუსრულებლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემულობისათვის.
3. ჩვენებაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, განზრახ

დაკითხული პირის ხელმოწერა :

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-371,371[1],373-ე მუხლებით, ამასთან, მოწმე არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება თავისი ან მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

4. მოწმეს უფლება აქვს: იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული; ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, თუ მან არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, და ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით; აცილება მისცეს თარჯიმანს; საკუთარი ხელით ჩამოაყალიბოს თავისი ჩვენება; გაეცნოს დაკითხვის ან მისი მონაწილეობით ჩატარებული სხვა საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა, გააკეთოს განცხადება გამოძიების უკანონო მეთოდების შესახებ; გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმის იმ ნაწილს, სადაც ჩაწერილია მისი ჩვენება, და მოითხოვოს მასში დამატებების, ცვლილებებისა და დაზუსტებების შეტანა, ისარგებლოს წერილობითი ჩანიშვნებითა და დოკუმენტებით; არ მისცეს ჩვენება, რომელიც ამხელს მას ან მის ახლო ნათესავებს დანაშაულის ჩადენაში; მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში; გაეცნოს ოქმს და გააკეთოს განცხადებები, რომლებიც ოქმში შეიტანება.
(1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მოქმედებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე).

განემარტა უფლება–მოვალეობები: _____

პირის ჩვენება:

გამომძიებლის მიერ განმემარტა ჩემი, როგორც მოწმის უფლებები და მოვალეობები, რაც ჩემთვის სრულიად გასაგებია, მათ შორის ადვოკატის ყოლის უფლება, გამოძიების ამ ეტაპზე ადვოკატის მომსახურეობას არ ვსაჭიროებ ჩემს უფლებებს დავიცავ პირადად. გაფრთხილებული ვარ ცრუ ჩვენების მიცემის, ცრუ დასმენის და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ასევე განმემარტა უფლება, არ მივცე ჩვენება ჩემი ან ჩემი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, რაც ჩემთვის სრულად გასაგებია.

მე მთლიანად ვეთანხმები ჩემს მიერ 2015 წლის 22 დეკემბერს მოწმის სახით დაკითვისას მიცემულ ჩვენებას. თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე მოგახსენებთ შემდეგს: მყავს მეუღლე [illegible] და 8 წლის შვილი [illegible] ასევე მყავს დედა ლია ბამუგია, რომელიც დაახლოებით ექვსი წელია სამუშაოდ წასულია თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ქალაქ ანკარაში. მამა ამირან პაპიძე გარდაიცვალა 1999 წელს ქ.გორში, იგი სახურავიდან გადმოვარდა. რაც შეეხება ჩემს დას მაგდა პაპიძეს, რომელიც ბრალდებულია მისი შვილის თორნიკე ქაფიაშილისა და მეუღლის ომარ ქაფიაშვილის მკვლელობაში მოგახსენებთ შემდეგს: მაგდა ასაკით ხუთი წლით პატარაა, მან ქ.თბილისში დაამთავრა 89-ე საშუალო სკოლა ავლაბარში, ერთი წლის შემდეგ კი ჩაირიცხა სამედიცინო კოლეჯში, მასაჟისტის განხრით. ამავდროულად მაგდა იყო ფრენბურთში საქართველოს ნაკრების წევრი და მოგვიანებით ბავშვებსაც ამეცადინებდა ფრენბურთში. ამ პერიოდში მაგდას ჰყავდა შეყვარებული [illegible], რომელთანაც აპირებდა დაქორწინებას, მაგრამ [illegible] უღალატა და სხვა მოიყვანა ცოლად. ამის გამო მაგდას დაეწყო დეპრესია, [illegible] ამ ამბების გამო 2008 წლიდან დედაჩემი და მაგდა საცხოვრობლად გადმოვიდნენ ნაგირავებ ბინაში ქ.თბილისში გრიგოლ ფერაძის ქუჩა N6-ში, სადაც გაიცნო ომარ ქაფიაშვილი, რომელიც დედასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობდა იმავე

დაკითხული პირის ხელმოწერა :

მისამართზე პირველ სართულზე. მათ შორის გაჩნდა სიმპათია, მე მაგდასთვის მაშინვე არ შემიტყვია ომარის მიმართ სიყვარულის ნიშნები, თუმცა ომარი მასზე თავიდანვე გიჟდებოდა ისე იყო შეყვარებული. 2009 წელს, მათ გაცნობიდან ძალიან მოკლე პერიოდში, რამოდენიმე თვეში იქორწინეს, დაიწერეს ჯვარი და ხელიც მოაწერეს. მაგდა საცხოვრებლად გადავიდა ომარის ბინაში, სადაც სივიწროვის გამო ომარის დედა დარეჯან მინდიკაური და ომარის ძმა მახო ქაფიაშვილი იძინებდნენ სამზარეულოში, ცალკე. როდესაც დაქორწინდნენ ომარი ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო. ომარი 2008 წლის აგვისტოს ომშიც იბრძოდა. 2010 წლის 27 ოქტომბერს დაიბადა თორნიკე.

მათი ერთად ცხოვრების პერიოდში ომარი უკვე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, კერძოდ იყო სპეცრაზმელი, ბოლოს მუშაობდა ქ.გორში. ომარი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, მოსიყვარულე მეუღლე და მამა, სიგიჟემდე უყვარდა ცოლ-შვილი. თორნიკეს დაბადებიდან დაახლოებით სამი წელი მაგდამ გაატარა სახლში, ზრდიდა ბავშვს. შემდეგ უკვე მაგდა, იმიტომ, რომ საკუთარი ფული ჰქონოდა, მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში დამლაგებლად, მან იმუშავა დამლაგებლად სასოფლო (იგივე თავისუფალი უნივერსიტეტი) უნივერსიტეტში, ასევე ალაგებდა ბინებს და ოფისებს. ასევე მენეჯერად მუშაობდა კარფურში, საიდანაც ომარის თხოვნით წამოვიდა ერთი წლის უკან. ამ პერიოდში მაგდა ომარს უჯერებდა, მაგრამ როდესაც ბენზინ გასამართ სადგურ „ლუკოილზე", რომელიც მდებარეობს მათ სახლთან ახლოს მაღაზიაში გამყიდველად დაიწყო მუშაობა, მათ ოჯახში, მათ ურთიერთობებში ყველაფერი თავდაყირა დადგა. ეს იყო 2015 წლის დასაწყისში. „ლუკოილზე" ის მუშაობდა ორ დღეში ერთხელ ღამის ცვლაში, შვიდი საათიდან დილის თერთმეტ საათამდე. თორნიკეს ტოვებდა ხან ჩემთან, ხან დარეჯანთან. ომარი ამ პერიოდში მუშაობდა მცხეთაში, ხოლო სამი თვის წინ გადაიყვანეს გორში. როგორც ზემოთ ავღნიშნე, „ლუკოილზე" მუშაობის დაწყების შემდეგ მაგდას და ომარს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ომარი წინააღმდეგი იყო მისი „ლუკოილზე" მუშაობის და ეუბნებოდა, რომ 300 ლარის გამო, რასაც ხელფასის სახით იღებდა, ბავშვს ღამე როგორ ტოვებდა, მაგრამ მაგდა მის ნათქვამს უკვე აღარაფრად აგდებდა მაინც მუშაობდა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ზუსტ დროს ვერ ვიხსენებ მაგდამ სახლში ყოფნისას მითხრა, რომ მასთან მაღაზიაში სისტემატიურად დადიოდა მათი უბნელი ოთარ ბერძენიშვილი, რომელიც მაღაზიაში სიგარეტს და შოკოლადებს უტოვებდა. მე შევატყვე მაგდას, რომ აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ოთარ ბერძენიშვილზე. მაგდა იყო მოკრძალებული ადამიანი, იცმევდა სადათ, მაგრამ ზაფხულიდან შეცვალა ჩაცმის სტილი, გახდა ვულგალური, ომარის დაუკითხავად მთელ ბეჭებზე დაიხატა სვირინგები, რის გამოც ომარი ხელითაც შეეხო. იღებდა ვულგარულ სურათებს და დებდა ფეისბუქზე, რაზეც მეც და ომარიც ვიყავით წინააღმდეგნი და ამის გამო მებუტებოდა კიდევაც. მაგდა საკუთარ თავს ყველაზე წინ აყენებდა არც მე მიჯერებდა არც დედაჩემს, არც ქმარს. აკეთდა იმას რაც მას უნდოდა მხოლოდ. ზაფხულში თბილისის ზღვაზე დაიწყო სიარული გასარუჯად მარტომ, ბავშვიც არ დაყავდა, არც ჩემთვის შემოუთავაზებია მასთან ერთად წასვლა, მე როდესაც ვსაყვედურობდი, რატომ არ მივყავდი სულ რაღაცას იმიზეზებდა. მე უკვე ვატყობდი, რომ ჩემი მის გვერდით ყოფნა აღარ უნდოდა. დაახლოებით ორი თვის წინ, მაგდამ დამირეკა და მთხოვა მისთვის მიმეტანა ჩემი ტყავის ქურთუკი. მე მივედი მასთან სამსახურში, რა დროსაც დავინახე, რომ ოთარ ბერძენიშვილს მაგდასათვის ხელი ჰქონდა ჩაკიდებული. მე ოთარი ნანახი მყავდა ფეისბუქში და ვიცანი. ამ დროს იდგნენ მინის კარებთან, მაგდამ მას გააშვებინა ხელი და ოთარი მომღიმარი სახით გამოვიდა. როდესაც მაგდამ დამინახა, მიხვდა, რომ დავინახავდი ოთარს და მაღაზიაში იმ მიზეზით, რომ თითქოს შემოწმება იყო, არ

დაკითხული პირის ხელმოწერა :

შემიშვა და ქურთუკიც არ გამომართვა. მე მივედი მის სახლში, სადაც დაველოდე, როდესაც მოვიდა ვკითხე რა ხდებოდა, იმ ბიჭს იქ რა უნდოდათქო. ამაზე მიპასუხა, ეს ის ოთოაო, ხელზე მეთამაშებოდაო. მე ვუთხარი სრულ ჭკუაზე თუ ხარ, რას აკეთებთქო, აღნიშნულზე მითხრა ვინ ვის არ გახუმრებიაო, კუდებს ნუ მოაბავო. ამის შემდეგ მე წამოვედი. ყოველივე აღნიშნულის ნახვის შემდეგ, ასევე მაგდას ქცევებიდან გამომდინარე გამიჩნდა ეჭვი, რომ მაგდა იყო ოთარ ბერძენიშვილის საყვარელი და ღალატობდა ომარს. ბოლო ორი თვის განმავლობაში მაგდამ მითხრა, რომ ოთარ ბერძენიშვილს მოსწონდა და ცდილობდა მისთვის ეცა პატივი. მე მას ვაფრთხილებდი, რომ წესიერად მოქცეულიყო და მისი საქციელი არ იყო ღირსეული. დაახლოებით ერთი თვის წინ მაგდამ დამირეკა დილის საათებში და მითხრა, რომ ომარი ძლიერ ნასვამი მისული იყო მის სამსახურში, სადაც დახვდნენ ოთარ ბერძენიშვილი და მისი მეგობარი, ასევე მათი უბნელი ომარის უცემია ოთარ ბერძენიშვილი, რის შემდეგაც ოთარს და ომარი წაუყვანიათ გორში სამსახურში. მე აღნიშნულზე ჩემს დას ვუთხარი, რომ რაღაცას იტყუებოდა, თუ ომარმა სცემა ოთარი, ოთარი როგორ წაიყვანდა სამსახურში. აღნიშნულზე გამითიშა ტელეფონი.

ნოემბრის თვეში მაგდა იყო მოსული ჩემთან სახლში, მითხრა, რომ ოთოს დამ იმშობიარაო. ბავშვი გააჩინაო, ოთო საცხოვრებლად ბაბუის სახლში გადავიდაო. ოთომ და მითხრეს შენი ქმარი „სირია," აქ როგორ გამუშავებსო? ამ პერიოდში მაგდა უკვე ვეღარ იტანდა ომარს, აბრალებდა, რომ სვამდა, რაც არ შეესაბამება, სინამდვილეს, ვინაიდან მე ომარი ერთი წელია ნასვამი არ მინახავს, ასევე როგორც მეზობლებისგან შევიტყვე ომარი მათაც არ უნახავთ ნასვამი. მაგდას ჩემთვის არასდროს უთქვამს, რომ ომარი სცემდა. ომარი ისეთი ადამიანი იყო, რომ უმიზეზოდ ხელს არ დაარტყავდა მას. მე მათი ერთად ცხოვრების პერიოდში მაგდასგან ვიცი მხოლოდ ორი ფაქტი, როდესაც ომარი ფიზიკურად შეეხო , ერთი როდესაც დაიხატა სვირინგები და მეორე როდესაც დაახლოებით ორი წლის წინ როგორც მაგდამ მითხრა ომარის დაუკითხავად გაიკეთა აბორტი.

დაახლოებით ორი კვირის წინ მაგდამ მითხრა, რომ ომარი ეჭვიანობს, ფეისბუქიდან სურათებს და მეგობრებს მიშლისო. მე ვკითხე თუ რა საფუძველი აქვსთქო? როგორც მაგდამ მითხრა, ომარისთვის ცნობილი გამხდარა, რომ მასთან სამსახურში ხშირად იმყოფებოდნენ უბნელი ბიჭები, კერძოდ, ოთარ ბერძენიშვილი, [illegible], რაც ომარის არ მოსწონდა. შემდეგ, როგორც მითხრა, ოთარ ბერძენიშვილი და თავიანთ-ძმაკაცებთან ერთად, როდესაც მორიგე იყო ხოლმე, ღამე აკითხავდნენ ხოლმე სამსახურში. ამის გამო, მაგდას და ომარს მოსდიოდათ უთანხმოება. ომარი სთხოვდა, რომ წამოსულიყო მაღაზიიდან, რადგან არც ისე უჭირდათ ეკონომიურად, რომ ამის გამო ბავშვი დაეტოვებინა. მაშინ, როდესაც თორნიკე უდედობას ძალიან განიცდიდა, ღამე ეღვიძებოდა ხოლმე და დედას კითხულობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მკვლელობამდე ორი დღით ადრე, როდესაც ტელეფონით ვესაუბრე დედაჩემს, მან მთხოვა გამეგო „ლუკოილის" მაღაზიის მეპატრონის ტელეფონის ნომერი, რათა მისთვის ეთქვა, რომ მაგდა სამსახურიდან გამოეშვა, ვინაიდან ფაქტიურად მაგდას მუშაობის გამო ოჯახი ენგრეოდათ.

დაახლოებით ბოლო ორი თვეა, ომარს და მაგდას შორის ძალიან დაიძაბა ურთიერთობა, მაგდა სულ ეჩხუბებოდა და უკიოდა ომარს. სულ გაღიზიანებული და აგრესიული იყო. მიუხედავად მაგდას ასეთი საქციელისა ომარს ის მაინც უყვარდა. ომარი იყო მშვიდი გაწონასწორებული პიროვნება. მე რაც ომარს ვიცნობ, მისგან გინების ხმა არ გამიგია და სხვასაც კი უშლიდა შეგინებას ჩვენი თანდასწრებით. იგი იყო რელიგიური, სადილობის დროსაც კი ყოველთვის იწერდა პირჯვარს.

დაკითხული პირის ხელმოწერა :

კითხვა: რა იყო ომარისა და მაგდას ყოველთვიური შემოსავალი ?

დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ომარს ჰქონდა კარგი სამსახური, მისი ზუსტი ხელფასი არ ვიცი, მაგრამ არ უჭირდა, დედაჩემიც სისტემატიურად უგზავნიდა თურქეთიდან თანხებს. მათ ისე არ უჭირდათ, რომ მაგდას ემუშავა „ლუკოილზე" მოლარედ და ღამე ეთენებინა.

დედაჩემისგან როგორც ვიცი მაგდა მას ხშირად სთხოვდა ფულის გამოგზავნას.

მიმდინარე წელს ზუსტი თვე და რიცხვი არ მახსოვს, ომარს საკუთარი ა/მანქანით თავის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოუვიდა ავარია, შეასკდა მეზობლის ა/ფარეხს. მანქანა ისეთი დამტვრეული იყო, რომ ჯართში ჩააბარა. ვინაიდან სამსახურში უჭირდა ფეხით სიარული, მაგდამ დედას სთხოვა გამოეგზავნა მანქანის შესაძენი თანხა. მართლაც დედაჩემმა გამოუგზავნა თანხა, რითაც იყიდეს ა/მანქანა „ჰონდა ფიტი." 2015 წლის დეკემბრის თვის დასაწყისში გორის ტრასაზე სამსახურეობრივი ა/მანქანით მოუვიდა ავარია. რა დროსაც მიიღო მცირედი დაზიანება, სხვა არავინ დაუზიანებია, რადგან ხსენებული ავარიის დროს ომარი არავის არ დასჯახებია, მან უბრალოდ საჭე ვერ დაიმორჩილა და შეეჯახა ღობეს.

კითხვა: ჰქონდა თუ არა ომარ ქაფიაშვილს ვალები?

პასუხი: ამ ერთი წლის განმავლობაში მე არ გამიგია ომარისგან, რომ ჰქონდა ვინმეს ვალი. ერთი თვის წინ ზუსტი დღე არ მახსოვს, მივედი მაგათ ბინაში, რა დროსაც მესმოდა მაგდას ყვირილის ხმა, უყვიროდა ომარს, როდის უნდა ამომასუნთქოო, ეს ოქრო რამდენჯერ უნდა წაიღოო. მე შევედი მათთან, რა დროსაც ომარიმ უთხრა, „მე მივხედავ, შენ ხომ არ წუხდები რამითო". მე კონკრეტულად აღარ დავინტერესდი თუ რა ვალები ჰქონდა ომარს. დაახლოებით ერთი თვის წინ, მაგდამ მთხოვა ჩემი ოქროული მეთხოვებინა მისთვის ვინაიდან ომარის ავარია მოუვიდა და ფული სჭირდებაო. მე მივეცი ჩემი კალიცო და სხვადასხვა ოქროს სამკაული. მაგრამ ომარისთან არ გადაგვიმოწმებია. დედამ დაურეკა ომარს და ჰკითხა მხოლოდ ავარიის შესახებ. რაც დაუდასტურა ომარმა და ასევე უთხრა, რომ მცირედი დაზიანება მიიღო.

მაგდა, ჩემთან აღარ მალავდა, რომ ოთარ ბერძენიშვილთან თავს უფრო კარგად და ბერდნიერად გრძნობდა, ვიდრე ომარ ქაფიაშვილთან. ოთოს და მას ჰქონდათ საერთო გემოვნება მუსიკაში. ოთო შეპირებული იყო, რომ წაიყვანდა თურქეთში „ქოლდ ფლეის" კონცერტზე. მას ომარის მიმართ იმდენად ჰქონდა გრძნობები გაციებული, რომ მისი მუსიკალური გემოვნებაც აღარ მოსწონდა, ასევე აკრიტიკებდა ჭამის გამო და მასთან ერთად საჭმელსაც აღარ ჭამდა. ასევე როგორც წინა ჩვენებაში აღვნიშნე, 2015 წლის 19 დეკემბერს დილას ჩემთან იყო მოსული, რა დროსაც იბანავა და მითხრა, რომ ორი თვეა ომართან ცოლქმრულად არ უცხოვრია.

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, როდესაც მაგდასთან ვიყავი მან მთხოვა 20 ლარიანის დახურდავება, იმ მიზნით, რომ 10 ლარი უნდა მიეცა [illegible] რომელსაც ფული უნდოდა სათამაშოდ. მაგდას ასევე ჩემთვის ნათქვამი აქვს, რომ ღამღამობით [illegible] ათხოვებდა მანქანას, რაც ომარს გაუგია და უჩხუბია, თუ რატომ აძლევდა ვიღაცას მანქანას, მაშინ როცა მას სამსახურში ფეხით უშვებდა.

მაგდა, როდესაც ომარს მანქანას არ აძლევდა საწყალი ომარი დგებოდა დილის ხუთ საათზე და ყინვაში სამხედრო „ზურგჩანთა" მოკიდებული მიდიოდა სამსახურში.

კითხვა: ხომ არ გაგაჩნიათ რაიმე ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ თქვენს სიძეს აწ გარდაცვლილ ომარ ქაფიაშვილს ვინმესთან ჰქონო კონფლიქტი ან უთანხმოება და ამის გამო, ხომ არ ემუქრებოდნენ ?

პასუხი: ომარ ქაფიაშვილს არავისთან კონფლიქტი არ ჰქონია, მე იმდენად ახლოს ვიყავი მასთან, რომ ის აუცილებლათ მეტყოდა და გავიგებდი ასეთ ფაქტს, ამას

დაკითხული პირის ხელმოწერა :

არც მაგდა არ დამალავდა. მითუმეტეს ბავშს არავინ სასიკვდილოთ არ გაიმეტებდა.

კითხვა: რომელ საათზე აძინებდა მაგდა თორნიკეს?

პასუხი: მე, როგორც ვიცი თორნიკე იძინებდა გვიან. მკვლელობამდე ორი დღით ადრე, დაახლოებით თერთმეტ საათზე ველაპარაკე მაგდას, რა დროსაც თორნიკეს ეღვიძა.

კითხვა: რაიმე სახის ჯანმრთელობის პრობლემები თუ ჰქონდა თორნიკე ქაფიაშვილს?

პასუხი: როგორც ზემოთ ავღნიშნე, თორნიკე დაიბადა ექვსი თვის, თორნიკეს გაზრდაში მეც დიდი წვრილი მაქვს შეტანილი და კარგად ვიცი მისი ჯამრთელობის მდგომარეობა. მას არ ჰქონია ჩამოყალიბებული ასთმა, მაგრამ ჰქონდა სუნთქვის პრობლემა, კერძოდ უჭირდა ამოსუნთქვა. ასევე, მის ასაკთან შედარებით, ჩამორჩენილი ჰქონდა მეტყველება და ცოტა მეხსიერების პრობლემაც ჰქონდა, კერძოდ, რომ ვკითხავდი ბაღში როგორი დღე ჰქონდა ვერ იხსენებდა, უჭირდა მოვლენების ერთიანად აღთქმა და გადმოცემა, სანამ რამე კონკრეტულს არ ვკითხავდი. ბავშვი იყო ემოციური და ადვილად ღიზიანდებოდა. მე, გულშიც კი მიფიქრია, ღამე ლუკოილზე ბავშვის გარეშე როგორ ჩერდებოდა, ბავშვს მაგდა ძალიან უყვარდა და როდესაც მაგდა სამსახურის გამო ღამე ჩემთან რჩებოდა, თორნიკეს ძილში ჩემთვის დედა დაუძახია. ბავშვის აღზრდაზში დიდი წვრილი აქვს შეტანილი, ომარის დედას, დარეჯანს, რომელიც არის არაჩვეულებრივი ადამიანი. ძალიან უყვარდა მაგდა და თორნიკე. დედაშვილური დამოკიდებულება ჰქონდა მაგდას მიმართ. ასევე მაგდასაც უყვარდა დარეჯანი.

კითხვა: რაიმე სახის ჯანმრთელობის პრობლემები თუ აქვს მაგდას?

პასუხი: [illegible], ბოლო ორი თვის განმავლობაში ჰქონდა საშინელი ხეოვოზი, რაც გამოიხატებოდა მის აგრესიულ ქცევებში, კერძოდ, უმიზეზოთ კიოდა. ისე იცვლებოდა მისი შინაგანი სამყარო, რომ მე ჩემს დას ვერ ვცნობდი.

[illegible]

ომარმა გაიგო მოგვიანებით და ძალიან გაბრაზდა, მას უნდოდა ბევრი შვილი და მაგდას ყოველთვის სთხოვდა ბავშვის გაჩენას.

კითხვა: მკურნალობდა თუ არა მაგდა პაპიძე ფსიქიატრთან ან ფსიქოლოგთან, ან ხომ არ სვავდა რაიმე დამამშვიდებელ წამლებს?

პასუხი: ჩემთვის როგორც ცნობილია მაგდა პაპიძე არ მკურნალობდა ფსიქიატრთან და არც ფსიქოლოგთან დადიოდა, არც რაიმე სახის დამამშვიდებელ წამლებს სვავდა.

კითხვა: რამდენი მობილური ტელეფონით სარგებლობდნენ ომარ ქაფიაშვილი და მაგდა პაპიძე ?

პასუხი: ომარს ჰქონდა დედაჩემის გამოგზავნილი „სონი იქსპერიას" ფირმის მობილური ტელეფონი,რომლითაც სისტემატიურად სარგებლობდა, ასევე ჰქონდა უბრალო დაზიანებული მობილური ტელეფონი, რომლის მოდელიც არ ვიცი, ეს ტელეფონი ძირითადად იდო სახლში ან მანქანაში. ბოლოს ეს ტელეფონი ვნახე ერთი თვის წინ. ამ ტელეფონით სარგებლობდა თუ არა ომარი არ ვიცი. მაგდას ჰქონდა ასევე დედაჩემის მიერ გამოგზავნილი „ნოკია ლომიას" მოდელის მობილური ტელეფონი. მე მათ სარგებლობაში სხვა ტელეფონი არ დამიფიქსირებია.

დაკითხული პირის ხელმოწერა :

კითხვა: ვისთან მეგობრობდა თქვენი და თუ იცით მათი სახელი და გვარები?
პასუხი: მე ვიცნობ ჩემი დის ყველა მეგობარს, მისი ახლო მეგობრები არიან
[illegible]
[illegible]ს. თქვენი მოთხოვნის მიხედვით მე შემიძლია მათი კოორდინატების
გადმოცემა. ჩვენება დაბეჭდილია ჩემს მიერ ნათქვამის სრულყოფილად, შენიშვნა და დამატება არ მაქვს

[illegible]

ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა:

ალექსანდრე ფოცხვერაშვილი

დაკითხული პირის ხელმოწერა :